პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-14 წელი.

კვირა 23 მარტი 1958 წ. № 35 (1205)

ფასი 30 კაპ.

## საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა



21 მარტს მოსკოვში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, შრომისმოყვარე ქართველი ხალხის უძველესი და მდიდარი კულტურის ძლევამოსილი დემონსტრაცია. მოსკოველთა წინაშე წარსდგნენ ხელოვნებისა და ლიტერატურის გამოჩენილი მოღვაწენი — მწერლები, პოეტები, მხატვრები, მსახიობები, კინემატოგრაფიისა და თეატრალური ხელოვნების სხვა მუშაკები, ნიჭიერი და მომავლის მქონე ახალგაზრდობა, მათი შემოქმედების ნიმუშებით.

იმ ნაწარმოებებში, რომლებიც მოსკოველთა სამსჯავროს წინაშე წარსდგნენ, ასახულია აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ცხოვრებაც, მდიდარი სპორტული ტრადიციებიც. სხვადასხვა მხატვრული, ქორეოგრაფიული და ფერწერითი ნამუშევრის მეოხებით მასპინძლები ბევრ რამეს გაიგებენ ქართული ფალავნობის, ცხენოსნობის, ძველ სპორტულ თამაშობათა და საბჭოთა საქართველოში სპორტის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ.

დეკადაზე წარმოდგენილ ნაწარმოებთა შორისაა ახალგაზრდა ქართველი მოქანდაკის — კ. ბაკურაძის სკულპტურული ნაწარმოები „პირისპირ", რომელშიც ფეხბურთელთა ბრძოლის ერთ-ერთი საინტერესო მძაფრი მომენტია ასახული.



სურათზე თქვენ ხედავთ კ. ბაკურაძეს სპორტული თემისადმი მიძღვნილი ახალი ნაწარმოების — „თამამი მოწინააღმდეგის კართანაა" — ესკიზზე მუშაობის დროს.

## ვინ იქნება საუკეთესო?

1938 წელს დამთავრდა უკანასკნელი მატჩი ჩვენი ქვეყნის პირველობაზე „ა" კლასის გუნდებს შორის და გამოირკვა ამ სეზონის ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელიც. მაშინ საუკეთესო „ბომბადირის" სახელი მოიპოვა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. პონომაროვმა (სტალინგრადის „ტრაქტორი"), რომელმაც მოწინააღმდეგის კარში 19 ბურთი გაიტანა. ერთი წლის შემდეგ ამ სახელის მფლობელი გახდა ცნობილი ფეხბურთელი გ. ფედოტოვი (ცდკა), რომელმაც ორი გოლი მოუმატა პონომაროვის მიერ ნაჩვენებ შედეგს.

ომის შემდგომ (1945 წელს) საუკეთესო თავდამსხმელის სახელი ისევ არმიელებს დარჩათ, მაგრამ ამჯერად მისი მფლობელი გახდა ვ. ბობროვი — 22 გოლით. 1946 წელს ა. პონომაროვი „ტორპედოს" ინტერესებს იცავდა. ამ სეზონში მან 18 ჯერ აიძულა მოწინააღმდეგის მეკარე გამოეტანა ბურთი საკუთარი კარიდან. ერთი წლის შემდეგ ამ ტიტულს ორი სპორტსმენი — ვ. ბობროვი და ვ. ნიკოლაევი (ორივე ცდკა) დაეპატრონა, რომლებმაც 14-14 გოლის გატანა შეძლეს.

სარეკორდო შედეგს (25 გოლს) მიაღწია დინამოელმა ს. სოლოვიოვმა 1948 წლის საფეხბურთო სეზონში. ხოლო მომდევნო ჩემპიონატში „სპარტაკის" ცენტრალურმა თავდამსხმელმა ნ. სიმონიანმა „რეკორდი" 26-მდე გაზარდა და ამ გუნდიდან პირველმა მოიპოვა საუკეთესო თავდამსხმელის სახელი. ეს წარმატება რომ შემთხვევითი არ იყო ცხადყო 1950 წლის საკავშირო პირველობის დამთავრებამ, როცა სიმონიანმა აჩვენა აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი — გაიტანა — 34 გოლი.

1951 წლის საკავშირო პირველობაზე საუკეთესო თავდამსხმელთა სიას სათავეში ჩაუდგა თბილისელი ა. ღოღობერიძე, რომელმაც ყველაზე მეტი — 16 გოლი გაიტანა. 1952 წელს ამ ტიტულის მფლობელი გახდა ა. ზაზროშვილი (კიევის „დინამო") — 11 გოლი. 1953 წელს ნ. სიმონიანმა და ა. ღოღობერიძემ გაიმეორეს ვ. ბობროვისა და ვ. ნიკოლაევის ექვსი წლის წინანდელი შედეგი, — 14-14 გოლი და გაიყვეს I-II ადგილები.

1954 წელს ერთ ვაკანტურ ადგილზე პრეტენზია განაცხადა სამმა სპორტსმენმა — ა. ილინმა („სპარტაკი"), ვ. ილინმა („დინამო") და ა. სოჩნევმა („შრომითი რეზერვები") — თითოეულმა გაიტანა 11 ბურთი. მომდევნო წლებში უძლიერესთა სიას სათავეში ედგნენ ე. სტრელცოვი („ტორპედო") — 15 გოლი, ვ. ბუზუნოვი, რომელმაც ორ უკანასკნელ სეზონში შეძლო უძლიერესის სახელის დამკვიდრება (1956 წელს სვერდლოვსკის ოხკაში თამაშის დროს გაიტანა 17 გოლი, ხოლო შარშან ცსკამო-ში თამაშის დროს — 16).

სამამულო ფეხბურთის 60 წლისთავის აღსანიშნავად გაზეთ „ტრუდის" რედაქციამ XX საიუბილეო ჩემპიონატში ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელის დასაჯილდოებლად დააწესა სპეციალური პრიზი.

# იწყება გათამაშება

დღეს ჩვენი ქვეყნის სამხრეთის ქალაქების სტადიონებზე — თბილისში, კიევში, კიშინიოვში, ოდესაში, ბაქოში აღიმართება საბჭოთა კავშირის XX საფეხბურთო ჩემპიონატის ალამი. 12 უძლიერესი გუნდი იწყებს ბრძოლას პირველობისათვის!

წლევანდელი ფეხბურთის საკავშირო ჩემპიონატი საიუბილეოა. გარდა იმისა, რომ ეს რიგით მეოცე გათამაშებაა, წელს სრულდება სამამულო ფეხბურთის 60 წლისთავი და ეს საიუბილეო თარიღი კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას და მნიშვნელობას ანიჭებს 1958 წლის პირველობას.

როგორც ყოველთვის, ჩემპიონატის პირველ დღესვე ებმება გათამაშებაში საქართველოს საუკეთესო გუნდიც — თბილისის „დინამო".

ჩვეულებრივ, ყოველი ახალი საფეხბურთო სეზონის გახსნის დღეს ჩვენს გაზეთს წესად ჰქონდა ვრცელი ადგილი დაეთმო ამ ღირსშესანიშნავი მოვლენისათვის. იბეჭდებოდა სახუმარო მოთხრობა ან ფელეტონი, ლექსები და მეგობრული შარჟები ფეხბურთელებზე და მწვრთნელებზე. იბეჭდებოდა საიმედო პროგნოზებით აღსავსე წერილები და ყოველთვის, ყოველი პირველობის წინ მოველოდით, რომ თბილისელი ფეხბურთელები ბოლოსდაბოლოს გარდაქმნიდნენ თამაშს, კვლავ დაიბრუნებდნენ საუკეთესო კოლექტივის ოდესღაც დაკარგულ სახელს და ჩადგებოდნენ მოწინავეთა შორის.

მაგრამ საქმე არ სწორდება. აი უკვე რამდენი წელია თბილისის „დინამო" ჩამორჩენილთა შორისაა, ძლივსძლიობით იკავებს VII-IX ადგილებს და გუნდის მრავალრიცხოვან გულშემატკივართა იმედებიც ყოველი სეზონის დასასრულს თოვლივით დნება.

ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ დღეს, როცა თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი იწყებს გათამაშებას, საჭიროა სერიოზული, საქმიანი საუბარი. საუბარი იმის შესახებ, თუ რით შეხვდა ჩვენი გუნდი საიუბილეო ჩემპიონატს, რა პერსპექტივები აქვს მას, რა რეზერვები გააჩნია.

ჩვენის აზრით ახლა საჭიროა ლაპარაკი არა იმის შესახებ, თუ რამდენ ქულას დააგროვებს „დინამო" და რომელ ადგილზე გამოვა იგი, არამედ იმის გარშემო, რომ დროა თბილისის „დინამო" კვლავ იქცეს იმ ძლიერ გუნდად, რომელსაც ალტაცებაში მოჰყავდა მაყურებლები ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის სტადიონებზე, კვლავ იქცეს იმ გუნდად, რომელსაც ჰქონდა თავისი განუმეორებელი სახე, თამაშობდა შეუწყობელი ცეცხლით, ტემპერამენტით, აზარტითა და ამასთან — თავაზიანად, კვლავ იქცეს გუნდად, რომელსაც პატივს ცემს ყველა, რომლის გამოსვლასაც მწვანე მინდორზე მოუთმენლად მოელიან ფეხბურთის მოყვარულნი.

რა თქმა უნდა, ეს არაა იოლი საქმე. ამას ჭირდება დრო, დიდი მუშაობა, ძალების მაქსიმალური დაძაბვა, მთელი კოლექტივის ერთსულოვანი მონდომება.

ჩავარდნები სხვა გუნდებსაც ჰქონიათ. ჩვენნაირ და უფრო უარეს მდგომარეობაშიც კი იყვნენ მოსკოვის გუნდები: „სპარტაკი", „ტორპედო", „ლოკომოტივი", კიევის „დინამო" და სხვანი, მაგრამ რეზერვების სწორად შერჩევის, გეგმაზომიერი, სისტემატური სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის შედეგად მათ თავი დააღწიეს ჩამორჩენას და ახლა ისინი მოწინავეთა რიგებში დგანან.

ჩვენ ჯერ კიდევ მაინცდამაინც ვერაფრით დავიკვეხნით. დიდად არც საკუთარ თავს ვარგივართ და არც საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდს ვეხმარებით რაიმეთი: არც ერთი თბილისელი ფეხბურთელი არ ითამაშებს შვეციაში, მხოლოთ პირველობაზე, ეს კი სამარცხვინოა.

თბილისის „დინამოს" თვითეული წევრის ვალია ყველაფერი გააკეთოს გუნდის წარმატებისათვის, არ დაიშუროს მთელი თავისი უნარი, შესაძლებლობანი, მთელი თავისი მონდომება იმასათვის, რომ ხელი შეუწყოს კოლექტივის ზრდასა და წინსვლას.

მაშ ასე, დღეს იწყება სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში „ა" კლასში. პირველივე მატჩი ჩვენი ქვეყნის ჩემპიონ მოსკოვის „დინამოსთან" ძალების დიდი გამოცდაა თბილისელთათვის.

ჩვენი რესპუბლიკის პირველ გუნდს მისი მრავალრიცხოვანი გულშემატკივრები უსურვებენ დიდ წარმატებებს, სახელოვან გამარჯვებებს, როგორც საკავშირო ჩემპიონატის მატჩებში, ისე საერთაშორისო შეხვედრებში!

## 277 მატჩი

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში ოფიციალურად დღეს გაიხსნება საფეხბურთო სეზონი, გუნდებმა უკვე მოასწრეს რამდენიმე საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრის ჩატარება. პირველი მატჩი პარიზში ტრადიციულად „რედ სტართან" ახალი წლის პირველ დღეს გამართეს სტალინგრადის „ტრაქტორის" ფეხბურთელებმა. შემდეგ დედაქალაქის „სპარტაკმა" ჩაატარა რამდენიმე შეხვედრა ინდონეზიაში, ცსკმო ითამაშებდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ხოლო ჩვენი ქვეყნის ნაკრები — ჩინეთში.

ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტისა და პროფკავშირთა სპორტული ორგანიზაციების გეგმით მიმდინარე წელს განზრახულია 277 საერთაშორისო მატჩის ჩატარება. მათ შორის 172 გაიმართება ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე, ხოლო დანარჩენი მოწინააღმდეგის მოედნებზე.

ახალ საფეხბურთო სეზონში საბჭოთა კავშირში ითამაშებენ რუმინეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, ბულგარეთის, გდრ-ის, ჩინეთის, ფინეთის და სხვ. ქვეყნების გუნდები, აგრეთვე ურუგვაის „ნაციონალი", იტალიის „რომა". საფრანგეთის „რესინგი", ბელგიის „შარლერუა", თურქეთის „გიუნეში". მიმდინარეობს მოლაპარაკება გფრ-ის, ავსტრიის, იუგოსლავიის, კანადის, ნორვეგიის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და სხვათა საფეხბურთო კავშირებთან.

წელს პირველად გამართავენ საერთაშორისო შეხვედრებს ჩვენი ქვეყნის ჭაბუკთა გუნდები.

სპორტულ საზოგადოება „კოლმეურნეში“



[illegible] ინიციატივებს

სპორტულ საზოგადოება „კოლმეურნეში“

# პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება

გაიმართა აჭარის „კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭოს მესამე პლენუმი, რომელმაც მოისმინა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ჩხარტიშვილის მოხსენება.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს ო. ლექავამ (ქობულეთის რაისაბჭოს თავმჯდომარე), ვ. ჭყონიამ (ბათუმის რაისაბჭოს თავმჯდომარე), ა. ცეცხლაძემ (ხულოს რაისაბჭოს თავმჯდომარე), ი. გოგიტიძემ (ქედის რაისაბჭოს თავმჯდომარე), ბათუმის რაიონის სოფელ ანგისის კოლმეურნეობის ძირეული კოლექტივის თავმჯდომარე გ. ჰასანოვმა, სპორტის ოსტატმა ჯ. მანელიშვილმა, ქობულეთის რაიონის ბობოყვათის საკოლმეურნეო ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარემ მ. კაჭახიძემ, „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს ინსტრუქტორმა დ. ნაცვლიშვილმა, კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის განყოფილების გამგემ გ. ღლონტმა და სხვებმა.

როგორც მომხსენებელმა, ისე სიტყვით გამოსულმა ამხანაგებმა ამხილეს ის ნაკლოვანებები, რომლებიც ჯერ კიდევ გააჩნიათ რესპუბლიკურ, რაიონულ და ძირეულ საბჭოებს.

პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო მარტივი ბაზების მოწყობის საკითხს. ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურელთა მოწოდების პასუხად პლენუმმა გადაწყვიტა აჭარის სოფლებში მოაწყოს ფეხბურთის 28 და ფრენბურთის 98 მოედანი, სახტომი ორმოები, კალათბურთის 30 მოედანი, 11 ტანვარჯიშული ბაქანი და სხვ.

ვ. კვირკველია

# წრეები ფორმალურად არსებობენ

ზესტაფონის რაიონში ჭადრაკი დიდი პოპულარობით სარგებლობს. სპორტის ამ სახეობის მოყვარულები გაერთიანებული არიან სხვადასხვა წრეებში. კარგად მუშაობს ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის საჭადრაკო სექცია. მეტალურგთა კულტურის სახლში, სადაც მოჭადრაკეებისათვის გამოყოფილია ოთახი და ინვენტარი, ხშირად ეწყობა საკლასიფიკაციო ტურნირები, მატჩები. აქ გაერთიანებული 40-ზე მეტი მოყვარული ეცნობა საჭადრაკო ლიტერატურას, ოსტატთა პარტიებს.

მაგრამ ასე როდია დაყენებული საქმე რაიონის სხვა კულტურის სახლებში. მაგალითად, სოფელ ცხრაწყაროს სასოფლო კლუბთან თუმცა არსებობს საჭადრაკო წრე, რომელშიც 12 კოლმეურნეა გაერთიანებული, მაგრამ აქ არავითარი მუშაობა არ წარმოებს. აღრიცხვის მიხედვით თითქოს 1957 წელს აქ 20 ძეცადინეობა ჩატარდა, როცა სასოფლო კლუბს ჭადრაკის არც ერთი კომპლექტი არ გააჩნია. ცხადია, რომ წრე აქ ფორმალურად არსებობს. ასეთივე მდგომარეობაა სოფლების მეორე სვირის, როდინოულის, ძირულის, ზოვრეთის, ილემისა და სხვა სასოფლო კლუბებში.

ს. ტალახაძე

# ორი მიმართვა

1958 წლის ოქტომბერში საბჭოთა კავშირში აღინიშნება ლენინური კომუნისტური კავშირის მე-40 წლისთავი. ახალგაზრდობის ეს ორგანიზაცია იყო და არის ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურული მოძრაობის ავანგარდში.

ამასთან დაკავშირებით ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობისა და ქობულეთის რაიონის ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირელებმა და ფიზკულტურელებმა მოიწვიეს საერთო კრებები, რომლებზედაც მოსმენილ იქნა ახალგაზრდებს შორის მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხი.

როგორც ქობულეთის რაიონის ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის, ისე ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობის კომკავშირელთა და ფიზკულტურელთა საერთო კრებებმა მიიღეს მიმართვა ყველა კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, მტს-ის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის, სამეცნიერო დაწესებულების, სოფლის სამომხმარებლო კოოპერაციის კომკავშირელებისა და ახალგაზრდების, ყველა ფიზკულტურელისა და სპორტსმენისადმი ლენინური კომკავშირის მე-40-ე წლისთავის აღსანიშნავად გაშალონ სოცშეჯიბრება ფიზკულტურული მუშაობის მასობრიობის, სოფლის ახალგაზრდობის სპორტული დაოსტატების, ფიზკულტურულ მუშაობაში სოფლის მოსახლეობის ფართო მასების მიზიდვის, სპორტბაზების მოწყობისა და მშენებლობისათვის.

თავის მხრივ ფიზკულტურის ორივე ძირეულმა კოლექტივმა აიღო სათანადო ვალდებულებანი.

ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობის აქტივმა ივალდებულა:

1. კოლმეურნეობის შრომისუნარიანი წევრების ორმესამედს ჩავაბამთ მასობრივ-ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობაში.

2. შევქმნით ცხენოსნობის, ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, ძალოსნობის, ლელოს, ქართული ჭიდაობის, ტანვარჯიშის, მძლეოსნობის, სროლისა და ჭადრაკის სექციებსა და გუნდებს, უზრუნველვყოფთ მათ გეგმიან, სისტემატურ და თანმიმდევრულ სასწავლო-საწვრთნელ მეცადინეობას.

3. მოვამზადებთ 24 საზოგადოებრივ ინსტრუქტორსა და 36 მსაჯს სპორტის 12 სახეობაში.

4. ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში ჩავაბამთ კოლმეურნეობაში მომუშავე ქალების ერთმეოთხედს.

5. მიმდინარე წელს ავაშენებთ სტადიონ-იპოდრომს ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის, მძლეოსნობის, ტანვარჯიშისა და ჭიდაობის მოედნებით.

6. სისტემატურად ჩავატარებთ შიდასაკოლექტივო შეჯიბრებებს სპორტის 12 სახეობაში. ორგანიზებულად, მაღალი სპორტული მაჩვენებლებით გამოვალთ რაიონულ და რესპუბლიკურ ღონისძიებებში.

7. მიმდინარე წელს მოვამზადებთ მშთ ნიშნოსნებსა და სპორტსმენ თანრიგოსნებს შემდეგი რაოდენობით: მშთ პირველ საფეხურზე — 40-ს, მშთ მეორე საფეხურზე — 10-ს, პირველ თანრიგზე — ერთ სპორტსმენს, მეორე თანრიგზე — 5 სპორტსმენს, მესამე თანრიგზე — 30 სპორტსმენს.

აი რას ვკითხულობთ ქობულეთის რაიონის ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირელთა და ფიზკულტურელთა მიერ აღებულ ვალდებულებებში:

1. საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა ნახევარზე მეტს გავხდით სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ წევრს.

2. შევქმნით ახალ სპორტულ სექციებს ფეხბურთში, სროლაში, ქართულ ჭიდაობაში, ლელოში, ფრენბურთში, კალათბურთში, ძალოსნობაში, მძლეოსნობაში, ველოსპორტში, მოტოსპორტში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკსა და შაშში. სექციებში გაერთიანდება 300 მუშა-მოსამსახურე.

3. სპორტული სექციებისა და გუნდების მუშაობის ხელმძღვანელებისათვის მიმდინარე წლის წარმოებიდან მოუწყვეტლად მოვამზადებთ 45 საზოგადოებრივ მუშაკს, მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა შორის დავნერგავთ საწარმოო ტანვარჯიშს, ამასთან დაკავშირებით მოვამზადებთ 30 ინსტრუქტორ-მეთოდისტს.

4. საბჭოთა მეურნეობის ახალგაზრდების ძალებით შემოვღობავთ სტადიონს, მოვაწყობთ დასაჯდომებს 500 მაყურებლისათვის, შევაკეთებთ არსებულ ბაზებს, მეურნეობის სტადიონზე წესრიგში მოვიყვანთ მძლეოსნობის სექტორებს, გასახდელებს საშხაპეებით.

5. 1958 წელს მოვამზადებთ: მშთ პირველ საფეხურზე — 40 კაცს, მეორე საფეხურზე — 10 კაცს, პირველ თანრიგზე — 2 კაცს, მეორე თანრიგზე — 6 კაცს, ხოლო მესამე თანრიგზე — 30 კაცს.

6. ჩავატარებთ საბჭოთა მეურნეობის სპარტაკიადას სპორტის 8 სახეობაში, აგრეთვე მასობრივ შეჯიბრებებს სპორტის ყველა იმ სახეობაში, რომლებიც კულტივირებულია საბჭოთა მეურნეობაში. მოვაწყობთ სამატჩო შეხვედრებს ფეხბურთში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთსა და კალათბურთში ოჩხამურის, ლაითურისა და სხვა ძირეულ კოლექტივებთან.

ამას წინათ „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს მეორე პლენუმმა და საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს და მოიწონეს ჩაქველ და რუხელ ფიზკულტურელთა ინიციატივა.

# ჩავებათ დათვალიერება-კონკურსში

ფიზკულტურასა და სპორტში რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობის მასობრივად ჩაბმის, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების, სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში შემავალი ორგანიზაციების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების, სოფლის მეურნეობისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სისტემის წარმოება-დაწესებულებათა ფიზკულტურული კოლექტივების ორგანიზაციულად განმტკიცების, „კოლმეურნის“ რაიონული საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების, ფიზკულტურულ კოლექტივებში საორგანიზაციო-მასობრივი და სასწავლო-სპორტული მუშაობის მაღალ დონეზე დაყენების, მათი მატერიალურ-ფინანსური მდგომარეობის, ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის, საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის „კოლმეურნის“ საუკეთესო რაისაბჭოსა და ძირეული კოლექტივის გამოვლინების მიზნით საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი და „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭო აწყობს დათვალიერება-კონკურსს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ყველა ზემოდჩამოთვლილი ორგანიზაციები.

დათვალიერება-კონკურსი მოეწყობა 5 ჯგუფად. ერთ ჯგუფს შექმნიან საკოლმეურნეო-ფიზკულტურული კოლექტივები, მეორეს — საბჭოთა მეურნეობების, მესამეს — მტს-ების, სამეცნიერო დაწესებულებების, წყალთა მეურნეობის სამინისტროს წარმოებების, სამომხმარებლო კოოპერაციისა და „კოლმეურნის“ მომსახურებაში შემავალი ყველა სხვა დაწესებულებათა კოლექტივები. მეოთხე ჯგუფს შექმნიან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმები და წყალთა მეურნეობის სამინისტროსა და ცეკავშირის ტექნიკუმები, ხოლო მეხუთეს — „კოლმეურნეს“ რაიონული საბჭოები.

დათვალიერება-კონკურსში გამარჯვებულად ჩაითვლებიან ის კოლექტივები, რომლებიც მიაღწევენ შრომისუნარიან წევრთა არანაკლებ 50 პროცენტის გაერთიანებას საზოგადოების წევრად პირველ ჯგუფში, 55 პროცენტის — მეორე ჯგუფში, 45 პროცენტის — მესამე ჯგუფში, 90 პროცენტის — მეოთხე ჯგუფში, და „კოლმეურნეს“ მომსახურებაში შემავალ ორგანიზაციებიდან მუშა-მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა და მოსწავლეთა არანაკლებ 20 პროცენტის — მეხუთე ჯგუფში, გადაჭარბებით შეასრულებენ ნიშნოსანთა, თანრიგოსანთა და საზოგადოებრივი კადრების მომზადების გეგმას (ყველა ჯგუფში).

ამას გარდა, პირველ ჯგუფში აუცილებელია: წლის განმავლობაში სხვადასხვა სახეობაში ჩაატარონ არანაკლებ 10 სპორტული ღონისძიება, მონაწილეობა მიიღონ რაიონულ პირველობებში და ერთ სახეობაში მაინც დაიკავონ პირველი ადგილი; მოაწყონ ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის მოედნები, სახტომი ორმო, სარბენი ბილიკი, საჭიდაო სარბიელი, დარბაზი, შეიძინონ ინვენტარი და ფორმა; მთლიანად შეაგროვონ ინდივიდუალური და იურიდიული საწევრო შესატანები.

მეორე ჯგუფში — მოაწყონ ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის მოედნები, მძლეოსნობის სექტორები, ტანვარჯიშული ბაქანი და საჭიდაო სარბიელი, დარბაზი, შეიძინონ ინვენტარი და ფორმა; წლის განმავლობაში ჩაატარონ შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები სპორტის 12 სახეობაში, ამავე დროს გამოვიდნენ რაიონულ ღონისძიებებში და სპორტის ერთ სახეობაში მაინც დაიკავონ პირველი ადგილი.

მესამე ჯგუფში — მოაწყონ ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, სახტომი ორმო, სარბენი ბილიკი, საჭიდაო სარბიელი და სხვა ბაზები. წლის განმავლობაში 8-ჯერ მაინც ჩაატარონ შიდასაკოლექტივო შეჯიბრება სხვადასხვა სახეობაში, მონაწილეობა მიიღონ რაიონულ შეჯიბრებებში და სპორტის ორ სახეობაში მაინც დაიკავონ საპრიზო ადგილი. დროულად და 100 პროცენტით უზრუნველყონ იურიდიული და ინდივიდუალური საწევროთა შეგროვება.

მეოთხე ჯგუფში — უზრუნველყონ ინდივიდუალურ საწევრო შენატანების დროზე შეგროვება, ჩაატარონ შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები 10 სახეობაში. მონაწილეობა მიიღონ რაიონულ ღონისძიებებში და დაიკავონ პირველი ადგილი ორ სახეობაში, ხოლო ოთხ სახეობაში — საპრიზო; გააუმჯობესონ ტექნიკუმის რეკორდები (მძლეოსნობა, ლოსპორტი, სროლა, ძალოსნობა ა. შ.); შეფობა გაუწიონ მახლობელ კოლმეურნეობას ან მტს-ს.

მეხუთე ჯგუფის წევრებიდან გამარჯვებულად ჩაითვლებიან რაისაბჭოები, რომლებიც წინა წელთან შედარებით 25 პროცენტით გაზრდიან როგორც ფიზკულტურელთა, ისე სექციებში მომეცადინეთა რაოდენობას, უზრუნველყოფენ რაიონის ყველა ფიზკულტურული ორგანიზაციების მიერ ინდივიდუალური და იურიდიულ საწევროთა დროზე შეგროვებას, რაიონის ძირეულ კოლექტივებს შორის გაშლიან სოცშეჯიბრებას და უზრუნველყოფენ ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებას რაიონის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მტს-ებში, სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის ორგანიზაციებში ჩამოაყალიბებენ კოლექტივებს და იზრუნებენ მათ განმტკიცებაზე, ან ისე წარმართავენ საქმიანობას, რომ ორი რომელიმე კოლექტივი მაინც ასრულებდეს საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და იყოს გამოფენის კანდიდატი; ჩაატარებენ რაისაბჭოს პირველობებს კალენდარული გეგმის მიხედვით, მოაწყობენ საზოგადოებრივი კადრების მოსამზადებელ სემინარებს და უზრუნველყოფენ ვალდებულების გადაჭარბებით შესრულებას.

პირველ ადგილზე გამოსული რაისაბჭოები დაჯილდოვდებიან საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს გარდამავალი დროშით, მეორე და მესამე ადგილზე გამოსულები — სამახსოვრო ალმებით.

ფიზკულტურულ კოლექტივები, რომლებიც ჯგუფების მიხედვით მოიპოვებენ I, II, III ადგილებს, მიენიჭებათ „საუკეთესო ფიზკულტურული კოლექტივის“ სახელი და დაჯილდოვდებიან საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს სამახსოვრო ალმით, სიგელითა და 2000 მანეთის სპორტული ინვენტარით, მეორე ადგილზე გამოსულები — სამახსოვრო ალმით, სიგელითა და 1500 მანეთის სპორტინვენტარით, მესამე ადგილზე გამოსულები — სამახსოვრო ალმით, სიგელითა და 1000 მანეთის ინვენტარით.

ძირეული კოლექტივები და რაისაბჭოები, რომლებიც შეასრულებენ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დებულების მოთხოვნებს, წარდგენილი იქნებიან გამოფენის კანდიდატებად. ის ფიზკულტურული და კომკავშირული მუშაკი, რომელიც თავს გამოიჩენს სოფლად ფიზკულტურული მუშაობის მაღალ დონეზე დაყენების საქმეში, დაჯილდოვდება საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს სიგელებით.

კონკურს-დათვალიერებაში გამარჯვებულებისათვის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გამოყო თითო პრემია 5000 და 3000 მანეთის რაოდენობით და ორი პრემია 2000 მანეთის რაოდენობით.

# სამინისტროს კოლეგიაზე

აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიამ ამას წინათ თავის სხდომაზე განიხილა აჭარის სოფლის რაიონებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მდგომარეობის საკითხი.

კოლეგიამ აღნიშნა, რომ სოფლის ფიზკულტურულ კოლექტივებში ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა, ბევრგან არა აქვთ ბაზები და სხვ. კოლეგიამ კოლმეურნეობების გამგეობათა თავმჯდომარეებსა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს დაავალა უმოკლეს დროში პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინონ ფიზკულტურულ კოლექტივებს სპორტული მოედნების მოწყობის, სპორტინვენტარისა და ფორმის შეძენის ღონისძიებათა ჩატარების საქმეში.

ვ. კაკაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვახტანგ ბალავაძე — 2318 ქულა



ვ. ბალავაძე

როგორც ცნობილია, ჩვენმა გაზეთმა წლის დასაწყისში გამოაცხადა კონკურსი — „ვინ იყო ყველაზე პოპულარული სპორტსმენი საქართველოში 1957 წლის შედეგების მიხედვით". რედაქციას სურდა გამოერკვია ვინ სარგებლობდა ყველაზე დიდი პოპულარობით გასულ, 1957 წელს და ამავე დროს სწორად შეაფასებდა თუ არა გაზეთის მკითხველი სპორტსმენთა დამსახურებას.

გასულ სპორტულ სეზონში საქართველოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს მთელ რიგ საკავშირო შეჯიბრებებში, საერთაშორისო შეხვედრებსა და მსოფლიოს ჩემპიონატებში. ბევრმა მათ-

⊙

ჩვენი კონკურსის შედეგები

⊙

განმა სავსებით გაამართლა გულშემატკივართა ნდობა და სახახელო გამარჯვება მოუტანა ჩვენს რესპუბლიკას. მაგრამ ზოგიერთი ჩვენი სახელოვანი სპორტსმენი, მაგალითად, სპორტის დამსახურებული ოსტატი გივი კარტოზია, გასული სეზონის შეჯიბრებებში არ გამოდიოდა. რა თქმა უნდა, იგი კონკურსის მონაწილეთა შორის ვერ მოხვდებოდა, რადგან „ლელოს" კონკურსი გულისხმობდა მხოლოდ გასულ, 1957 წლის შედეგებს.

კონკურსში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ქალაქების, რაიონებისა და სოფლების ახალგაზრდებმა. ჩვენი რესპუბლიკის 31 რაიონიდან გამოაგზავნეს კანდიდატურები მოყვარულებმა. წერილები მოდიოდა აგრეთვე ლენინგრადიდან, უკრაინიდან, ბელორუსიიდან, ლატვიიდან. ქართველი ახალგაზრდები ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან ხმებს აწვდიდნენ ქართული სპორტის ღირსეულ წარმომადგენლებს,

როდესაც შეჯამდა კონკურსის შედეგები, გამოირკვა, რომ ქულათა ყველაზე მეტი რაოდენობა დააგროვა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა თავისუფალ ჭიდაობაში, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვახტანგ ბალავაძემ — 2318 ქულა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ: სპორტის დამსახურებული ოსტატი, ძალოსანი რაფაელ ჩიმიშკიანი — 613 ქულა, სპორტის ოსტატები: მოცურავე ბორის ნიკიტინი — 492 ქულა, ტრამპლინიდან მხტომელი კობა წაქაძე — 457 ქულა, მოჭიდავე გოგი სხირტლაძე



რ. ჩიმიშკიანი

— 390 ქულა, ფეხბურთელი თენგიზ მელაშვილი — 277 ქულა, მოჭიდავე როსტომ აბაშიძე — 254 ქულა, ალპინისტი ჯუმბერ მეძმარიაშვილი — 250 ქულა, მოჭადრაკე ბუხუტი გურგენიძე — 203 ქულა, მოფარიკავე რევაზ ცირეკიძე — 190 ქულა.



ბ. ნიკიტინი



კ. წაქაძე



გ. სხირტლაძე



თ. მელაშვილი



რ. აბაშიძე



ჯ. მეძმარიაშვილი



ბ. გურგენიძე



რ. ცირეკიძე

## საბჭოთა კავშირის 1958 წლის პირველობა კალათბურთში

# პირველი წრე დამთავრდა

პირველი წრის უკანასკნელი დღის შეხვედრებს სატურნირო ცხრილში არავითარი ცვლილება არ შეუტანია. ლიდერებმა, რომლებიც ცხრილის ზედა ნახევარში არიან განაწილებულნი, დაამარცხეს აუტსაიდერები და მეტად საჭირო ქულები ჩაიწერეს.

გასაჭირში ჩავარდა მოსკოვის „დინამო" თბილისის „ბურევესტნიკთან" თამაშის დროს. მან კინაღამ დაკარგა ქულა და გამოეთხოვა ლიდერთა ჯგუფს. პირველ ნახევარში თბილისელებმა ისე ენერგიულად შეუტიეს მოსკოველებს, რომ უკანასკნელები მხოლოდ დაცვაზე ფიქრობდნენ. ანგარიში განუწყვეტლივ იზრდებოდა „ბურევესტნიკელთა" სასარგებლოდ, მოსკოვის კალათბურთელები კი ვერაფერს ახერხებდნენ. 8:2, 13:6, 17:10 საკმაოდ საგრძნობი უპირატესობა იყო, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ „დინამოს" თამაში არ გამოსდიოდა. პირველი ნახევარი მოიგო თბილისის გუნდმა — 37:29. როგორც ყოველთვის, მოედანზე უძლიერესი ლეჟავა იყო, მან მარტო პირველ ტაიმში გუნდს 20 ქულა მოუტანა.

შესვენების შემდეგ მოსკოველებმა შეცვალეს ტაქტიკა. „ბურევესტნიკის" სწრაფ შეტევებს დაუპირისპირეს ზონური დაცვა, რამაც სავსებით გაამართლა. ჩვენმა კალათბურთელებმა თამაშის პროცესში ვერ მოახერხეს ტაქტიკის გარდაქმნა და მოწინააღმდეგის ზონა ჯებირივით აღიმართა მათი შეტევების წინააღმდეგ. ბურთის დაუსრულებელმა გადაცემამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია, რადგან მოთამაშეები მოწინააღმდეგის კალათს უშუალო საფრთხეს ვერ უქმნიდნენ. პირველ ნახევარში მოპოვებული უპირატესობა თანდათანობით გაქრა და როდესაც თამაშის დრო ამოიწურა, მოსკოველები წინ აღმოჩნდნენ 10 ქულით — 80:70.

თბილისის „დინამომ" რიგის „სპარტაკის" წინააღმდეგ ითამაშა ასეთი შემადგენლობით: მინაშვილი, ინწკირველი, ხაზარაძე, უგრეხელიძე, კილაძე. მთელი შეხვედრის მანძილზე უპირატესობა დინამოელთა მხარეს იყო. პირველი ნახევარი თბილისელებმა მოიგეს — 32:23. მეორე ნახევარში ლატვიელმა სპორტსმენებმა ანგარიშში განსხვავება თუმცა შეამცირეს, მაგრამ გამარჯვება მაინც თბილისის „დინამოს" დარჩა— 59:55.

მოგვყავს დანარჩენი შეხვედრების ტექნიკური შედეგები. ქალები: „ბურევესტნიკი" (მოსკოვი)-„ტრუდი" (მოსკოვი) — 55:43, „დინამო" (მოსკოვი)-„ბურევესტნიკი" (როსტოვი) — 66:54, „დაუგავა" (რიგა)-„ჟალგირისი" (კაუნასი) — 41:37, „კალევი" (ტარტუ)-„სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი) — 62:56, ოსკ (ლენინგრადი)-სვერდლოვსკი — 58:40, „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი)-„ბურევესტნიკი" (თბილისი) — 50:48.

ვაჟები: ოსკ (რიგა)-„სპარტაკი" (მოსკოვი) — 100:77, ცსკმო (მოსკოვი)-„კალევი" (ტალინი) — 73:68, „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი)-„ჟალგირისი" (კაუნასი) — 83:65, „ბურევესტნიკი" (ალმა-ატა)-სვერდლოვსკი— 60:54.

ვ. ჭაფარიძე,
საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.

⊙



ს უ რ ა თ ზ ე: თბილისის „ბურევესტნიკის" ცენტრალური თავდამსხმელი ა. ლეჟავა (მარჯვნივ) გზას ულობავს ლენინგრადის „ბურევესტნიკის" კაპიტანს, სპორტის ოსტატ ო. მამონტოვს.

ფოტო ნ. ივანოვისა

⊙

# გათამაშების ცხრილები

ვაჟები

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| ოსკა რიგა | 11 | 10 | 1 | 10 |
| ცსკმო მოსკოვი | 11 | 9 | 2 | 9 |
| „დინამო" მოსკოვი | 11 | 8 | 3 | 8 |
| „ბურ". ალმა-ატა | 11 | 7 | 4 | 7 |
| „დინამო" თბილისი | 11 | 7 | 4 | 7 |
| „ბურ". ლენინგრადი | 11 | 6 | 5 | 6 |
| სვერდლოვსკი | 11 | 4 | 7 | 4 |
| „სპარტაკი" რიგა | 11 | 4 | 7 | 4 |
| „კალევი" ტალინი | 11 | 3 | 8 | 3 |
| „ბურ". თბილისი | 11 | 3 | 8 | 3 |
| „სპარტაკი" მოსკოვი | 11 | 3 | 8 | 3 |
| „ჟალგირისი" კაუნასი | 11 | 2 | 9 | 2 |

ქალები

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| „დინამო" მოსკოვი | 11 | 10 | 1 | 10 |
| „კალევი" ტარტუ | 11 | 10 | 1 | 10 |
| „დაუგავა" რიგა | 11 | 8 | 3 | 8 |
| „ბურ". მოსკოვი | 11 | 7 | 4 | 7 |
| „ბურ". ლენინგრადი | 11 | 6 | 5 | 6 |
| „სერპ ი მოლოტი" მოსკ | 11 | 6 | 5 | 6 |
| „ჟალგირისი" კაუნასი | 11 | 5 | 6 | 5 |
| „ტრუდი" მოსკოვი | 11 | 4 | 7 | 4 |
| ოსკა ლენინგრადი | 11 | 4 | 7 | 4 |
| სვერდლოვსკი | 11 | 2 | 9 | 2 |
| „ბურ". როსტოვი | 11 | 2 | 9 | 2 |
| „ბურ". თბილისი | 11 | 2 | 9 | 2 |

# სიღნაღის სკოლაში

სიღნაღის მეორე საშუალო სკოლაში რამდენიმე დღე გრძელდებოდა სასკოლო შეჯიბრება კალათბურთსა და ფრენბურთში. კალათბურთელთა ასპარეზობა XI კლასის სპორტსმენთა გამარჯვებით აღინიშნა. ფრენბურთში პირველ ადგილზე გამოვიდნენ მეათეკლასელები.

ნ. მღებრიევა

## რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში

### ქუთაისი

აქ საინტერესოდ ჩატარდა ქალაქის პირადი პირველობა კრივში, რომელშიც მონაწილეობდნენ „დინამოს", „სპარტაკისა" და განათლების განყოფილების სპორტსმენები.

ჭაბუკთა შორის წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონის სახელი მოიპოვეს ო. სანთელაძემ, ვ. ძოძუაშვილმა, ჯ. ჯინჭველაშვილმა, ა. ზედაშიძემ, ვ. ერიშკიანმა, ჯ. ბოგველაძემ, შ. ნანიკაშვილმა და ვ. კაშკაროვმა.

მოზარდთა შორის უძლიერესის სახელი დაიმკვიდრეს გ. სირაძემ, ო. ტიკარაძემ, ქ. კვიცარიძემ, თ. ავალიანმა, გ. ლორთქიფანიძემ, მ. კუხიანიძემ, რ. მეტრეველმა და რ. მანაგაძემ.

ი. ბუხაიძე

### ლაგოდეხი

აფენის საშუალო სკოლაში მოეწყო სპორტული დღე, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აფენის, ლელიანის, ორჯონიკიძის საშუალო სკოლებისა და აფენის სასოფლო კულტურის სახლის სპორტულმა კოლექტივებმა.

სპორტული დღის პროგრამაში შედიოდა ფრენბურთი, კალათბურთი და ფეხბურთი.

ფრენბურთში პირველი ადგილი დაიკავეს აფენის სასოფლო კულტურის სახლის სპორტსმენებმა. კალათბურთში გაიმარჯვეს ლელიანელმა გოგონებმა და ვაჟებმა. ფეხბურთში პირველობა დარჩათ აფენელ მოსწავლეებს.

გ. ბაგაური

### ახალციხე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს მიეძღვნა ახალციხის პირველი საშუალო სკოლის სპარტაკიადა, რომელიც ამას წინათ ჩატარდა. მთელი თვის განმავლობაში არ ცხრებოდა სპორტული ბრძოლები კალათბურთსა და ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთსა და ველოსპორტში, მძლეოსნობაში. კალათბურთსა და ფრენბურთში ჩემპიონები გახდნენ X კლასის გოგონები და ვაჟები: ხუთ კილომეტრზე რბენაში გაიმარჯვა მეათეკლასელმა თ. შურღაიამ, ხოლო ველორბოლაში დისტანციაზე ახალციხე-აწყური-ახალციხე—მეთერთმეტეკლასელმა რ. ამირაჯიბმა.

ნ. გოგილაშვილი



არაოფიციალური მატჩები დაიწყო.

ფოტოეტიუდი ჯ. ანთიასი.

# ორი მატჩი

20 მარტს მოსკოვის თეატრალურ-საკონცერტო დარბაზში გაიმართა VI პარტია. თეთრებით თამაშობდა ბოტვინიკი.

მოწინააღმდეგეებმა, ისე როგორც II პარტიაში, ძველინდური დაცვა გაითამაშეს. ბოტვინიკმა კვლავ ზემიშის სისტემას მიმართა. მაგრამ სმისლოვმა დააჩქარა ლაზიერის ფრთაზე აქტიური ოპერაციების გეგმა.

ამან ცხარე კამათი გამოიწვია მაყურებლებში. გროსმაისტერებს ტოლუშს, პეტროსიანს, ლილიენტალს, ლევენფიშს და მრავალ ოსტატს, რომლებიც ესწრებიან თამაშებს, გულშემატკივრებმა მიმართეს თხოვნით გამოეთქვათ თავიანთი შეხედულება სმისლოვის გეგმის შესახებ. გროსმაისტერები ხალისით აკმაყოფილებდნენ მათ თხოვნას. მაგრამ ისინი ერთი აზრისა როდი იყვნენ. ახმაურებულ დარბაზს აწყნარებს სცენაზე მთავარი არბიტრის გ. შტალბერგის გამოჩენა.

ბრძოლის შემდგომმა განვითარებამ ცხადყო, რომ სმისლოვის გეგმას ჰქონდა ხარვეზები. ბოტვინიკმა ცენტრის გამაგრებით გამოამჟღავნა იგი. სმისლოვს შეექმნა ორი სუსტი პაიკი, ხოლო შავუჯრედოვან კუთა გაცვლით მათი სისუსტე უფრო საგრძნობი გახდა. ამიტომ სმისლოვმა გადაწყვიტა დაბოლოებაში გადასვლა და ლაზიერების გაცვლა. ეს კი შეცდომა აღმოჩნდა, რადგან სმისლოვმა მაინც ვერ დააღწია თავი პასიურ პოზიციას. მაშინ მან ფიგურების აქტივობის მიზნით პაიკის შეწირვა განახორციელა, რაც უკვე მეორე შეცდომა იყო. ბოტვინიკმა არა მარტო შეინარჩუნა მატერიალური უპირატესობა, არამედ პოზიციურადაც განამტკიცა იგი. მხედრის შესანიშნავი მანევრებით ყოფილმა ჩემპიონმა მალე მეორე პაიკიც მოიგო.

ამ მდგომარეობაში პარტია გადაიდო.

21 მარტს საბჭოთა კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მოხდა ამ პარტიის დამთავრება. ბოტვინიკმა რამდენიმე ზუსტი სვლით ცხადყო სმისლოვის პოზიციის უიმედობა. 49-ე სვლაზე სმისლოვმა შეწყვიტა წინააღმდეგობა.

VI პარტიის შემდეგ ორთაბრძოლის ანგარიშია 4,5 : 1,5 ბოტვინიკის სასარგებლოდ.

# შეუდგნენ თამაშებისათვის მზადებას

ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ენერგიულად დაიწყეს სტუდენტთა რესპუბლიკური თამაშებისათვის მზადება, მწვრთნელების მ. ლითანიშვილის, გ. მგალობლიშვილის, ი. ნემსაძის, გ. ძიძიგურის, გ. ხაჩიძის, ნ. დვალისა და სხვათა ხელმძღვანელობით რეგულარულად მუშაობენ ფარიკაობის, ფრენბურთის, კალათბურთის, ველოსპორტისა და სხვა სექციები. თანდათან დგინდება ნაკრები გუნდების შემადგენლობა. წინა წლებში ინსტიტუტში არ იყო მაგიდის ჩოგბურთის სექცია. ამჟამად ეს სექციაც ჩამოყალიბებულია, რომელსაც ლ. ურფანოვი ხელმძღვანელობს. სექციის წევრებმა უკვე ჩაატარეს პირველი საინსტიტუტო შეჯიბრება პირად პირველობაზე, სადაც გამარჯვებისათვის იბრძოდა 15 ვაჟი და 10 ქალი.

ვაჟთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი გ. გოზალოვი, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო. ე. ღარიბაშვილმა და რ. ურიადმყოფელმა დაიკავეს II და III ადგილები.

ქალთა შორის ყველას აჯობა ც. ტორჩინავამ (ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი), მეორე ადგილი წილად ხვდა ა. ბერიკაშვილს, მესამე — ი. სახოკიას.

ა. გელაშვილი



# ორ სარბიელზე

**„ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში**

თავისუფალი ჭიდაობა ფართოდაა კულტივირებული სტუდენტთა ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკში". აქ გაერთიანებულია არა ერთი და ორი მაღალი კლასის ოსტატი, რომელთა სახელებს კარგად იცნობენ როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. სამწუხაროდ, „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირველობის გათამაშება წელს დაემთხვა საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრთა შეკრებას, ამიტომ ცნობილ ოსტატებს არ მოუხდათ მასში მონაწილეობა. მიუხედავად ამისა ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებიც საკმაოდ მრავლად არიან წარმოდგენილნი ჩემპიონატზე, ტონს აძლევენ ბრძოლის სიმძაფრეს.

პირველი საერთო შთაბეჭდილება ამ შეჯიბრებიდან ასეთია: ფიზიკურად ძლიერი და ტექნიკური მოჭიდავეები ჰყავთ ჩრდილოეთ ოსეთის, ლენინგრადისა და საქართველოს კოლექტივებს. დანარჩენი გუნდების წარმომადგენლებს, განსაკუთრებით კი შუა-აზიის, ირკუტსკის, კრასნოიარსკის მოჭიდავეებს ეტყობათ გამოუცდელობა, ტექნიკური მოუმზადებლობა.

ასე მაგალითად, უმჩატეს წონაში კრასნოიარსკელმა შასნოვმა თავიდანვე შეუტია საქართველოს წარმომადგენელს შეყრილაძეს და აიტაცა კიდეც ხელში, მაგრამ თვითონ აღმოჩნდა ბეჭებით ხალიჩაზე. კრასნოიარსკელი „დაღუპა" შუაკაურმა, რომლის შესახებ მას ალბათ საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები უმთავრესად შეხვედრებს სუფთად იგებენ. ასე დამთავრდა მაგალითად მ. მუზაშვილის ბრძოლა მოსკოველ კოჩანოვთან, ძძიკაშვილის — უზბეკ აბდულაევთან, ჩადუნელის — ჰასანოვთან (თათართა ა. რ.), ხითარიშვილის — ჩასოვსკისთან (ვორონეჟი), გობეჯიშვილისა — მაკლაკოვთან, (ბელორუსია), ბურდულის, ცანავას, სინაურიძის — თაადინთან (ბელორუსია), ციბინთან (უზბეკეთი), ივანოვთან (უკრაინა) და ა. შ.

მეტად საინტერესო გამოდგა სპორტის ოსტატ მამედბეკოვის (აზერბაიჯანი) შეხვედრა ჩრდილოეთ ოსეთის წარმომადგენელ წაქლაურთან. ჩოქბჯენში მამედბეკოვმა შეძლო მოწინააღმდეგის ხიდურზე შეჩერება. თავის მხრივ წაქლაურმაც ჩაუტარა სრულფასოვანი ილეთი ოსტატს, მაგრამ უპირატესობა მაინც მამედბეკოვს დარჩა.

შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია თბილისელ ოსტატს გობეჯიშვილს სომხეთის გუნდის წევრმა თუმანიანმა. ეს უკანასკნელი ფიზიკურად მეტად ძლიერი მოჭიდავეა და ამასთან ძალზე მოქნილი. ერევნელმა გამოცდილ მეტოქეს მეტად მაღალი ტემპი შესთავაზა, რასაც გობეჯიშვილი არ მოელოდა. ჩოქბჯენში აშკარად იგრძნობოდა თბილისელის უპირატესობა, მაგრამ სუფთა გამარჯვება, რომელსაც ასე მოუთმენლად ელოდა მაყურებელი არსად ჩანდა. კვანძი გაიხსნა მხოლოდ უკანასკნელ წუთებზე, როდესაც გობეჯიშვილმა აიტაცა ხელში ერევნელი და სხარტი მოქნევით ბეჭებზე დასცა.

ამ შეხვედრისაგან დიდად არ განსხვავდებოდა დავლიანიძე-ნეიაზიანის (სომხეთი) ბრძოლა. პირველ წუთებზე აღებული ტემპი ბოლომდე შეინარჩუნა სომხეთის წარმომადგენელმა, თუმცა იგი ხშირად იყო სუფთა დამარცხების მიჯნაზე. დავლიანიძეს ცდა, მიეღწია სუფთა გამარჯვებისათვის ამაო გამოდგა. მოჭიდავე ტექნიკურადაც და ფიზიკურადაც ძლიერი იყო. დავლიანიძე იძულებული გახდა ქულებით გამარჯვებას დასჯერებოდა.

მსუბუქი წონის მოჭიდავეების კარიჭაშვილისა და სპორტის ოსტატ მოსკალიოვის (ყაზახეთი) შეხვედრა თანაბარი ბრძოლით აღინიშნა. მოწინააღმდეგეებმა დაახლოებით ერთნაირად სრულფასოვანი ილეთებით დაამთავრეს ბრძოლა და მოეწყვნენ ხალიჩის კუთხეებში მსაჯთა გადაწყვეტილების მოლოდინში. მაგრამ გადაწყვეტილებამ დააგვიანა დაახლოებით ნახევარი საათი. ბოლოს გამოცხადდა, რომ ბრძოლა დამთავრდა ფრედ, ხოლო მსაჯთა კოლეგიამ ერთ-ერთ გვერდით მსაჯს საყვედური გამოუცხადა არაობიექტიურობისათვის (?).

შეჯიბრება გრძელდება.

ნ. ახვლედიანი

* * *

სურათზე: შეჯიბრების პირველი დღე. დავლიანიძე (ზევიდან) — ხუბაევის შეხვედრა.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# გადაეცათ ჯილდოები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღის აღსანიშნავად მოეწყო საჭადრაკო ტურნირი რესპუბლიკის პროკურატურის თანამშრომლებს შორის. ტურნირში მონაწილეობა მიიღო 12 კაცმა.

საინტერესო ბრძოლის შემდეგ პირველი ადგილი დაიკავა განყოფილების პროკურორმა გ. ბლიაძემ, რომელმაც მთელი ტურნირი წაუგებლად ჩაატარა. გამარჯვებულმა მხოლოდ ორი შეხვედრა დაამთავრა ყაიმით. ტურნირში მეორე და მესამე ადგილები გაიყვეს განყოფილების პროკურორებმა ვ. სუმბათაშვილმა და ა. ლუკავამ.

პირველ სამ ადგილზე გამოსულ მოჭადრაკეებს გადაეცათ სამახსოვრო ჯილდოები. ტურნირის მთავარი მსაჯი იყო განყოფილების უფროსი, პირველთანრიგოსანი მოჭადრაკე ლ. ზაიჩიკი.

გ. ჟორჟოლაძე

# ტელემაყურებელთა უპირატესობა

1960 წელს სკვო ველში (აშშ) ჩატარდება ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ამ დიდი ღონისძიების საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთი წევრი ბაგდაშტაინში (ავსტრია) ესწრებოდა მსოფლიო პირველობას სათხილამურო სპორტში. მან ადგილობრივ კორესპონდენტებთან საუბარში ბევრი რამ საინტერესო განაცხადა მომავალი ზამთრის ოლიმპიადის მომზადების შესახებ.

რადგანაც ოლიმპიადას განსაზღვრული მაყურებელი დაესწრება ამიტომ სკვო ველიდან იწარმოებს ტელეგადაცემები. ტელეკამერების ობიექტივები კვალდაკვალ გასდევენ მოთხილამურეებს სტარტიდან ფინიშამდე. ეს ტელემაყურებელს საშუალებას აძლევს ნახოს ბრძოლის ყველა მომენტი. მაგრამ მთავარი სიახლე, რომელიც გამოყენებული იქნება შეჯიბრებაში ეს არის, რადარი — ტელევიზორის ეკრანზე მოთხილამურის გამოსახულების გამოჩენასთან ერთად სპეციალურ შკალაზე გამოჩნდება მისი მოძრაობის სისწრაფის მაჩვენებელი ციფრები



# ვერცხლის მედალი კ. ზაუტაშვილს

მოსკოვის მშრომელებში დიდი ინტერესი გამოიწვია ძალოსანთა საერთაშორისო შეხვედრამ, რომელიც ამას წინათ ჩატარდა ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში. სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენების ბრძოლამ გულთბილ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. მონაწილეებზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა შეჯიბრების ორგანიზაციამ, გულთბილმა მიღებამ. ამის შესახებ თავისი აზრი გამოთქვა სახელგანთქმულმა ატლეტმა ტომი კონომ. მან განაცხადა, რომ ეს შეჯიბრება მოეწყო განსაკუთრებით მაღალ დონეზე, რასაც, რასაკვირველია, ხელი შეუწყო შესანიშნავმა სპორტულმა ნაგებობამ — სპორტის ახალმა სასახლემ. კონომ თქვა, რომ ეს შეხვედრა უფრო საინტერესო იქნებოდა, რომ მასში მონაწილეობა მიეღოთ ამერიკის სხვა ძალოსნებსაც.

ამ შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ერთ-ერთ შეხვედრაზე ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ბ. ნიუბერგმა ჯილდოები გადასცა ძალოსნობის სპორტის გამოჩენილ მოღვაწეებსა და მსაჯებს. ოქროს მედალი მიიღო ნადირ აბდულაჰმა (ირანი) და სსრ კავშირის სახელმწიფო მწვრთნელმა ნ. შატოვმა. ვერცხლის მედლები მიიღეს ე. ხალონმა (პოლონეთი) და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა კ. ზაუტაშვილმა (საქართველო).

* * *

სურათზე: მედალი რომელიც გადაეცა კ. ზაუტაშვილს.

# ორი კონტინენტის ნაკრები

როგორც გერმანული ყოველკვირეული ჟურნალი „ფუსბალ ვოჰე" იუწყება. შვეციაში მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ განზრახულია სამხრეთ ამერიკისა და ევროპის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრის მოწყობა.

სამხრეთ ამერიკამ ამ მატჩზე თანხმობა უკვე განაცხადა.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის ხამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორის — 8 89 62. პ.მგ მდივნ-ის და განყოფილებების — 3.90.34. მორიგისა და გამომშვებ-ს — 8 01 06.
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02401